



მოსახლეობის წლიური განვითარების მინისტრის

ვ 0 6 1 6 6 0:

1 შანაური და გარეულ პირუტყვათა	169
2 მერტვლის ბედე	471
3 მეცნი და გლები	481
4 თინა	482
5 ამწევნებულ სამეცნიერო	489
6 ჰერკულესის ამზადი	497
7 სახალისო სამუშაო და გასართობი:	
ა) დარღვიანი, ბ) გამოცანა	500

No XVII

ვ გ ვ ი ს ი

1905



ტეიტონისი

1905 წელი სტამბული წიგ. გამომც. ქართ. ამინადაბეგის



1743 ГРНТ 1997

ДОЗВОЛЕНО ЦЕНЗУРОЮ

Дозволено цензурою 20-го июля 1905 г. Тифлисъ



შოთა და გარეულ პირუშების მზაობელობა

ვ ვ ვ ხ ხ ხ



არი ზუზუნებს, მრისსანებს...
ტრამლად ჩანს ტექ და კელია;
საითაც წახვალ, კოველვან
მიღამო ციფი, სკელია!..

„მაგრამ ჩვენ რაო! რას გვაკლებს
ეს მმაფრი სუსიი ზამთარის!
ჩვენთვის უოველთვის,—თოვლს, თუ წვიმს,
თბილი პუნქული მჴად არის!

„სიმშილი ჩვენ არ გვაწუხებს:
ჰატრონიც გვეავდეს მაძღარი,
თორებ, რა გვიჭირის, მუდამ გვაქვს
საჭმელი თავ ზედ საუბრი!“

ვ ა ს უ ხ ი

— ძებლარბილში გვატანს სიცივე,
 არვისგან ვეღით შველასა;
 წელები გვეწვის სიმშილით,
 ვითმენთ და ვიტანთ უველასა!

„გვერდებში სშირად ცხელაცხელი
 ტევის ჭრილობაც გვატევია
 და ჩვენი სისხლი წვეთ-წვეთად
 სოეტაბ თოვლს ნიმნად ატევია!...“

„სიცივე... ტევია... სიმშილი
 არის ჩვენი სკე, იღბალი;
 მაგრამ არ ვსწეხვართ ამითი,
 რადგან ვართ თავისუფალი!“

თეოფ. ქანდელაკი





მერცხლის ბუდე

(თარგმანი)

I



პრილის კაშაძი დღეს. ნორჩ ბალახს სა-
ამურად აუმწვანებია ველ-მინდორი. მერცხლის
გუნდმა ჭავრძი გაიფოსრიბლა—ცხელი ძემ-
უნებიდგან სამშობლოში დაბრუნდნენ; ჩქარო-
ბენ ბუდეები გაიკეთონ. ველად თავისი
ადრინდელი ბუდე მოსმებნა,— გასხვებას შეუ-
დგა. ზოგის ბუდეები კი ბეღურაებს დაწეუ-
მებინათ; გავისარიან, მერცხლეებმა ისინი
კინწის ჭვრით გარებენ! ზოგს კი ბუდე ჩამოძლიდი დახვდა:
ზოგი წვიმას ჩაელენა, ზოგი ქარბუქს გაენადგუნებინა, ზოგს
კი გასუფთავების მეტი არა უნდოდა რა.

ერთი სახლის აივის ჭერში შარძანდელი ბუდე იქო,
იქაც მოფრინდა ორი მერცხლი: ერთი უფრო სნიერი იქო,
მეორე კი ახალგაზრდა. სწორეთ ამ სნიერს ეკუთვნოდა ეს
ბუდე. გუდრდებით გასინჯა და თავის ამხანაგს უთხრა:

— ეს ბუდე თვალში ვერ მომდის, როგორდაც მე აქ დაბუ-
დებას ვერ გავიყდგვ.

— რასა ბრძანებ, გენაცყალე განა ეს ბუდე დასაწუნია?

— შენ იცი, შეილო, მიუგო სნიერმა მერცხალმა, — მე კი
არ დავიზარებ და სხვა ბუდეს გავიკეთებ.

მერცხლები ერთმანეთს გამორდნენ. ხნიერი სხვა ბუღალტები გასაკეთებლად წავიდა.

ახალგაზრდა მერცხალი ბუდის გასულთავებას შეუდგა: ჰატარა ნისკარტით თიხას ეზიდებოდა და ლესავდა. წევტიანი ქლანჭებით ჩალაბულას ჟიდავდა და აგებდა; მოელს დღეს ფუსულესობდა. და ისე შეაკეთა ბუდე, რომ—სულ ახალსა ჰგავდა. გარედან ბჭევრიალა ჩალები მიაკრა, და მით უფრო დაამშევნა თავისი ბინა.

II

თრი კვირის შემდეგ დედალმა თოხი კვერცხი დასდო და თავ მომწონედ დააჯდა გამოსაჩეკად. მამალი მერცხალი მალიან უფრთხილებოდა და ზედიზედ უზიდავდა კალიებს, ჰეპელებს, ბუზებს! ეძინოდა, არ მოძივდესო. როცა წელის დასალევად დედალი გაყრინდებოდა ხოლმე, მამალი ჯდებოდა კვერცხებზედ.

ამასობაში სახლის ჰატრონიც მოვიდა და ამოიუვანა თავისი ჰატარა შვილები: თერთმეტი წლის განო და შვიდი წლის გატო.

მერცხლები ბუდიდგან გადმოჰეურებდნენ ბაგშებს და, თითქო არა რომ, მამალ მერცხალს ეძინოდა.

— ნეტა, რა საჭირო იყო რომ აქ არ დასასლებულიერენ! მერე რა დაბლა გართ—ჩენ ბუდეს სელისგულისავით ჟედავნ.—სოქა მამალმა!

— ნეტა რად გეძინიან გერე ბდატიანებისა? მოუგო დედა მერცხალმა.—დე მაგათაც გვიცეირონ, ცქერით რა დაგვაკლდა ბა!—სოქა და მსიარელად გადაჲეო თავისი ჰატარა ბრწევიალა შავი თავი და ქვიშაში მოთამაშე უმაწვილებს გადასჭიბიშიკა:

— გამარჯობათ!

— უი და და და და! მერცხლის ბუდე, განო! გაესარდა გატოს.

— უუურე, უუურე, ჩვენი როდი ქმინიან, თავი გამოიწყოფა
და გვიშიკშიგებს! უუურე რა დაბლაბ! მოდი, სკამი შევიდგათ
და ენახოთ!

— ნუ, ნუ, კატო, ნუ ენახავთ, არ შევაძინოთ! ეხლა ბეჭრა
ცხებზედ სხედან უთოოდ.

— ჯაან გულო! შეიკუნტრუძა კატომ,—მამ მალე ბარტეებიც
ეუთლებათ!

III

გავიდა დრო. ცქრიალამ (ასე ეძახდნენ დედალ მერცხალს) რაღაცა სუსტი კაგუნი იგრძნო კვერცხებიდან. განა არა დილითვე შეამჩნია, რო კვერცხებს ერთი შერიდგან ნაწესი ძალზედ გასთხელებიდა. უხაროდა ცქრიალას. ამ დროს მამალიც მოფრინდა და საშარი მოუტანა, მაგრამ ცქრიალას ჭამისთვის არ ეცალა: ნისკარტით შემოაცელდა ნაწესი და ჰაწია შეგინგლული ბარტეი კი გამოიუვანა: დედამ თავისი პირმშო ფრთის ქვეშ ამოისვა.

მეორე კვერცხიდანაც რაღაცა კაგუნი მოისმა! ამასაც უწოდებულია გაუპო ნაწესი და ესეც ქვეშ ამოისვა. ზედ მესამეც მოჰქვა. დედა სიხარულით ფეხზე აღარ იდგა, მაგრამ მეოთხე კვერცხი კი როგორდაც უმრავად იქო. მსოლოდ გვიან, ძრიელ გვიან გამოიჩეება სუსტი მეოთხე ბარტეი.

ამ დროს მსდალაც (ასე ეძახდნენ მეტ სახელს მამალ მერცხალს) მოფრინდა და საწმელი მოუტანა. ცქრიალამ ჯერ თვითონ დადესა, კარგად დაბრინდა და მერე ისე აწამა ქველას თავის პირიდგან. ბარტეები მალსაზად აღებდნენ თავიაანთ ეკითხელ განიერ პირებსა და ნისკარტიდან სტაცებდნენ დედას საწმელს. ეველაზედ სწრაფად უმფროსი იქცევოდა; ბრძოლა აცდიდა; დედა ძლიერ იგერებდა რომ ეველასთვის თანააწორად ეწმია. მსოლოდ ნაბოლარია ბარტეი მიუჟელიერ და არაფერსა



სჭამდა. დედამ ძალის ძალად ჩაუდო პირში საჭმელი; კლასიკური გლობურები და ისე დაიღალა, რომ თვალები მიღუდა და დაქ მინა. პირველი დღე დიდ უაციუუცმი გაატარეს: გადაუარეს ნაწერები, ბუდე გაასუფთავეს და ახალი ჩაღა ბუდა ჩაუბის, რომ რბილად უოფილებენ. რამდენჯერმე აჭამეს და ძალის დროს ნანაც უკიგვიკეს. მეორე დღეს ისე მნელი აღარ უჩვენათ ბარტების მოვლა, რაკი შეეჩივნენ.

— ახლა რა სასელები დავართქვათ? ჰქითხა მსდალამ.

— მე კიდეც მოვიგონე: უფროსს „უაბდანა“ დავარქვათ: ხედავ რა გამბედავი და თამამია! მეორეს „პოხტა“: უურე რა ლამაზია! რა მოხდენილი ფეხები აქვს და ცოცხალი თვალები! მესამეს „მალხაზა“: ერთი შეხედე, რა მსიარულად და მალხაზად წრიპინებს! ამ ზაფიას კი, ჩემ პატარა გოგონას „პატაროტა“ დავარქვათ.

IV

გადარა ორშა კიდა
რამ. ბარტები გინ-
გლით შეიმოსნენ და
აქაიქ ბუმბულიც
ამოუვიდათ. სმაც გა-
მოჟცებლათ: აღარ
წრიპინებდნენ ჰეთო-
დნენ; დედას ქარგად
ესმოდა იმათი ქნა.

ერთხელ დამე დი-
დი უბედურება და-
ტრიბლდა. რაღაცა
უცნაური სმაურობა
მოისმა; ცერიბლამ
თვალები ჰქიტა; ჰქ-



რძი აიხედა და შიშის ცასცახმა აიტანა: კექიერთელა თელრი გულა
დაინახა! თუმცა ცქრიალა უშიშარი იუ, მაგრამ როგორ არ
შეძინებოდა! კატის მრგვალი ბჟევრიალა თვალები სისარბით
აჩათებდა, წვეტიანი ბასრი კილები და კერეჭოდა... ისე შეკ-
შინდა საწელ ცქრიალას, რომ სულ ბუდეს გაეპრა; ფრთები
აუცახდახდა, საცოდავად დაიწრიანა! მხდალისაც გამოვდიძა;
კატა რომ დაინახა, კინაღამ ბული გაუსკდა—უნდოდა გაფრე-
ნილიერ, მაგრამ ცქრიალამ შეაუენა:

— სად მიურინავ, სადა? შვილები დაგავიწედა? არ იცი,
რომ შვილებს პატრიოთიბა და ქომაგი უნდათ? რაც უნდა
მომივიდეს მე ჩემ პაწიებს თავს კერ დავანებებ,— დევ მეც
ამათან დავიღუშო... ციცუნია დიდ ხასს იდგა; ბოლოს თათი
გადმოჰქო, უნდოდა თავისი ბასრი ბრწევალებით ბარტევები ამო-
ეთორია. ცქრიალა მძინარე ბარტევებს გადაეფარა, თავისი თავი
აღარ ასხოვდა. მხდალაც ცქრიალას ამოვარა და შიშით
თვალები დაუკავა. ციცუნიამ უფრო ღრმად ჩაჲეო თათი და
ბრჩეილები ბუდეს მოაკლო. ამ ღროს დახეთქილი გაჯი ჩამო-
ინგრა და ბუდე მირს ბალახები ჩამოარდა.

ციცუნია ამას არ მოელოდა: მალიან შეკინდა და პუდ
ამოუმუებული გაიქცა. მერცხლებს თავზებრი დაკაცო!

V

გათენდა. ხალხი ახმაურდა, ბუდის ახლო შიდი-მოდიოდნენ,
მაგრამ ბუდეს კი კერავინა სედავდა; არც ბარტევების ჭივილი
ესმოდათ. ბოლოს ვანომ და კატომაც გაიღვიძეს: აივანზედ
გამოვიდნენ; მერცხლებს შეკინდათ, ბუჩქებს მოეფარნენ და
უგზო უკვლოდ საცოდავად ფრინავდნენ. ბოლოს ცქრიალა
მიუახლოვდა ბარტევებს და მოფარებით პატარა ბუჩქედ დაკდა;
იქიდან უგდებდა უურსა.

კატო მიხვდა, რომ რაღაცა მომოხდარიერ: აიხედა ჭირში
და ცრემლები კი გადმოჲეარა.



— რა იქო, კატო, რა მოგივიდა? ჰქითხა ვანომარიანები

— ვერა ხედავ, ბუდე აღარ არის... ვინ ჩამოუშენდა? ტრ

როდა კატო.

ვანომაც შეიხედა მაღლა და გაოცდა.

— უთოოდ ჩამოიძლებოდა. გადასწევიტა ვანომ.

— აგერა თუ არა! გესმის, საცალა ჭეივიან!

უმაწვილები ბარტების მებნას შევდგნენ.

— ბიჭის, მიბოვნია! ერთი, ორი, სამი... სულ ცოცხლები არიან, კატო! თხის უნდა იქოს — ერთი აკლია მასა! ნაღვლიანად წარმოსთქმა კატომ. მე დათვლილი მეგანდნენ, თავებს რომ გადმოჰყოფნენ ხოლმე მაშინ დავთვალე.

— მეოთხეც მოვმებნოთ, მოდი ჩქარა! მხიარულებდ უთხრა ვანომ. შენ მანამ გაიქცი და ბამბა მოიტანე, სცივათ ბამბაზე დავსხათ.

კატო გაიქცა დედასითან და გეგბერთელა ბამბის კუნდი მოარიევინა.

— უჲ, ამოდენა! გაეცინა ვანოს, ეს სამ ბუდესაც ეუოვა. უჲურე რა პატარები არიან, ნახევარიც არ მოუნდებათ.

— მეოთხე ბარტეი სადღაა? ეკითხებოდა კატო.

— არ ვიცი, ჯერ არ მიბოვნია; ჯერ ამათ ჩაფუთბუროთ; სედავ რანაირად კანკალებენ?

კატომ კალთმი ჩაიგო ბამბა და ბარტეები ფრთხილად ჩაისხა; ისე იჯდა უნმრეველად, — უცოდებოდა არ შევაძინოთ.

— სელს ნუ ახლებ, კატო! ცოდონი არიან, არ აწეალო!

უთხრა ვანომ, რაკი დაინახა რომ კატომ ბამბას ასწია.

— არა, სელს არ ვახლებ, ისე ვუძექრი.

— ვანო, ვანო, უჲურე რა დიდი და უვითელი პირები აქვთ! ქაა, ენაცა ქერინიათ! თვალები, თვალები, რანბირად უბრწეინავენ, შენი ჭირიმე დედა, რა პაწია ფეხები აქვთ, მოკლე, მოკლე! უი, ბოლოები ჯერ როდი გასდით!..

— ჟო, კარგი, ნუ გააბი, უთხრა ვანომ წერომით: ცედ გუნებაზედ იქო, რაკი მეოთხე ბარტეს ვერა პოულობდა.

— მერე გავსინჯოთ, ქხლა მიძღვი, კედარა გამიგდინა შედეგის, ნეტა სად გადიკარგა? გარგად კი დაფალე? იქნება სამის მეტი არ იყო?

— არა, არა, ოთხი იყო, ოთხი! მე თვითონ დაფალე...

ამ დროს კიბის ქვეშიდან სუსტი წრიპინი მოისმა.

— ავერა, ავერა, სადა ჰეივის! წამოიძახა კატომ.

ვანო მივარდა კიბესთან, და გაპაროტა კი ამოიერანა.

— უი საწეალი, რა პატია რამ არის! სინჯავდნენ უმაწვიალები.

— მერე ჩვენ უნდა დავზარდოთ, ვანო? ჟოო, ვანო? შენ კი ჭირიმე დედა! ჩვენ დავზრდით! საწელებს არც დედა ჰქავთ, არც მამა, ობლები არიან, არაა, ვანო?

— ჟო, ჟო; წადი ჩეხრა კოდო მოუტანე.

კატომ სწრაფად დაიჭირა ბუზი, ვანომ გამოართო და ბარტებს ნისკარტი აძლევდა. მაგრამ ბარტები მიიკუნენ, ესხადანაც კი შეძინდა, — ასე ახლო ხალისი არ ენახათ. მართალია ბამბაძი დასთბათ, მაგრამ მაინც ეძინოდათ. თითონ დედა მერცხალსაც უფრო ეძინოდა: საწეალი იქავე ახლო თავს და სტრიალებდა, მოუსვენრად ფრინავდა, ჰეიოღა, მახლობელ ბუქებზედ კდებოდა.

უმაწვილები ისე იუნენ გართული, რომ დედა მერცხალი მხოლოდ მაძინ დაინახეს, როგორ ისე ახლო მოფრინდა, რომ ფრთა მოასვეროდა.

— უი საწეალი, უთოოდ დედა ეს არის! სედავ, რა დაბლა დაფრინავს? რა კარგი იქნება, რომ ბუდე როგორმე გაუშემოთოთ და მიგ ჩავსხათ! მაძინ დედმამა თვითონ დასდის; თორებ ჩვენ სულ დაგვეხოცება! აბა ჯერ ჰატარები არიან, თვითონ გერ იღებენ ჩვენი ხელიდან საჭმელს!

— მართლა რა კარგი იქნება!

— ჯერ ერთი რომ ბუდე ისევ იმ ადგილას უნდა გაუშეთოთ, საცა ჟერნდათ! დაიწეო ვანომ; — მეორე ისა, რომ მო-

სერხებული იუოს და თბილი... დაიწა, დაიცა, მოვიგორჩეს და
წად, ჩარა, შენი კალათი მოიტანე, მარწევზე რომ და გადა
და შარმან! შიგ ბაბბა ჩავუით, ჩავსხათ ბარტები და ლურ-
სმანზე შევეიდოთ სწორეთ იმ ბომზე, სადაც ბუდე იყო!
დედა უთოოდ მოფრინდება, და რა გაესარდება!! ჩარა, ჩარა!

VI

ნახვარ საათის შემდეგ ბარტები წინანდელ ბლაგას კალა-
თის ბუდეში ისხდნენ. მეტად უპვირდათ თავიანთი ახალი
სახლი. გათცებულები სწინავდნენ კისრებს და ერთმანეთს
ასხდებოდნენ, კინაღამ კავაროტა განჭელიტეს.

უმაწვილები კუთხები მიიუუნენ და ჩუმად უთვალთვალებ-
დნენ. ცქრილა მოუსვენრად ადევნებდა უმაწვილებს თვალსა;
კალათი რო ჰაერში ეკიდა, საძინლად უპვირდა; ესლა კი ვე-
დრო მოიმინა დედის გულმა; იტრილა, იტრილა და კალა-
თში ჩახტა.

— დედ, დედ! შესწევლეს ბარტებმა:— გვმიან, გვმიან...
დედას წინათვე ჰეავდა მატლი და ჭერილი და უველას თანა-
სწორათ აქამა. ხელ ახლად საჭმელისთვის გაფრინდა.

— დაინახ? წახსურჩელდ გახარებულმა ვანომ.

— ჩუმად, ჩუმად, ისევ მოფრინავს—არ დავაფრთხოთ!
ჩურჩულობდა კატო.

— ახლა კი ფიქრი აღარა აქვთ, გულდამშვიდებით წარმო-
სთქა ვანომ.—წამო, ჩვენც ჩაი დავლიოთ.—მალმალე მირბო-
დნენ სოლმე უმაწვილები ბუდესთან: დედ მერცხალი დიდს
ფაციოუცმი იყო: სან ბუდეში იჯდა, სან საჭმლის მოსატანად
დაფრინდვდა. უმაწვილები სიხარულით ვეხსე აღარ იდგნენ;
დიდონებიც მოდიოდნენ ახალ ბუდის სახასავად. ვანოს დიდად
მოჟონდა თავი, რაკი ასეთი მოხერხებული ბუდე მოიგონა.

სადამოზე ციცუნია კიდევ მიეპარა მერცხლებს. კატომ
თვალი მოჟერა.

— უუურქ, ვანო, სედავ ციცასა, მგონი ბუდესთან შეიძლება მისღობისას.

— ამას დახვ, ამასა! აცხა, აცხა, აცხა! შეუტია ვანომ კატას და ქვა ესროლდ.—კიდევ ამას ჩამოუნგრევია, თორემ ბუდეს რა ჩამოანგრევდა? ნაჩვევზედ მობრძანდება კიდევა! მე გიჩვენებ შენა! დამაცა!

ციცუნია გაიქცა, მაგრამ პატარა ხანს უქან ახლა მეორე მსრიდან მორბოდა.

— ვანო, ვანო, ერთი უუურქ, ციცა ისევ ეპარება.

— იცი კატო? მოდი კალათი ამაღამ შინ შევიტანოთ; დილაზე ისევ თავის ალაგას დავკიდოთ; თორემ ეს კატა სეირს არ დააურის—სულ დასწამს!

— მერე დედა მერცხალი? ცოდო არ არის?

— იი, დედას რა უძაგს! დამეს სადმე სერზე გაათევს და დილით ხომ ისევე ბარტექბოთან მიეა!

ასეც მოიქნენ. საწეალ ცქრიალის გული გაუსკდა—გალათი რომ შინ შეიტანეს; მთელი დამე არა სძინებია—ტირილური ინისი გაატარა. მაგრამ მეორე დილით კალათი რომ ისევ თავის ალაგას დაინახა, მეტად გაეხარდა. ციცუნია ცქერასაც კი ვერა ჰყებავდა ჯრისით, რაკი ხალხის სმაურობა არა სწერებოდა. ერთი ორჯელ კი სცადა, მაგრამ ხალხის სმაურობამ უბანეს გააბრუნა.

VII

ერთეულ კატოს სათვალავში ერთი ბარტეი დააკლდა.

— უიმე, სად უნდა იეოს? ციცამ ხომ არ შესწამა?

მაგრამ დახვ კატის სიხარულს! ერთბაშად კალათაში პატარა მერცხალი ჩაბრთხიდლდა! ეს, რასაკვირველია, ეაჩაღანა იეო.

— ვანო, ვანო, უძახდა კატო—ერთი ბარტეი კიდევა ფრინავს!



— ფრინავს კი არა! რას ამბოფ? გაუჭვირდა განობრენისა
შილებითია

— ღეღ-მამა არ დამეხოცება! მე თვითონ ვნახე... — აი, აი
მეორეც აპირებს!

ზატარა ხანს უკან მალხაზაც აჰევა — ბუდეში მარტო კაქა-
როტადა დარჩა.

— უი საწეალი! ეს კი რატომ ადარა ფრინავს? ჰყითხავ-
და კატო. ღეღა მერცხალი კიდეც გაუჭავრდა კაქაროტას:

— ისწავლე ფრენა, ისე წამოგეწევა შემოდგომა, რო თა-
ვის მაღლა აღება ვერ მოასწრო! ჩვენ თბილ ქვეყანაში გაფ-
ფრინდებით და გზაში ხომ ვერ გასწავლით ფრენასა. ემთნდ
გზაზე გაიენები! შენ კი არა ხარ პირველი, ბეჭრი შენისთა-
ნა გაეინულა...

კაქაროტამ გაბედა და ცოტახანს უკან ფრენაში თავის
მშებს არ ჩამოუწეობოდა.

— ჩედავ კატო? ეუბნევოდა ვანო: კალათაში ღიდხანს
აღარ ჩერდებიან ჩვენი ზატარა მერცხლები, სულ დაფრინავენ!
მალე სამედამოდაც მოგემორდებიძნ! ეჭ, რა მალე გაირბინა
ზაფხულმა! ახლა ჩვენც მალე წავალთ ქალაქში! ნეტა კიდევ
ზაფხული იქოს!



მგელი და გლეხი



გელი და გლეხი დამმობილდნენ. შექრეს პირობა ერთმანეთში. დაიწეს სიძინდის თესვა. ბევრი მინდვრები დასწეს იმათ. როდესაც ათავებდნენ თესვას, გადმოდგა მელია მაღლა გორაზე და დაუძახა გლეხს: „მო-
ბილო, მმობილო!“ — რა გინდა,

ჩემო მელიაო? მიაძახა გლეხმა: „მგელი ხომ არსად გინა-
საჟს — ჟერითხა მელიამ.“ რათგინდაო? მიუგო გლეხმა. „რათ
მინდა და იმათ, რომ მეცოდება ის საწელები: მეფე მო-
დის თავის კუნირებით და რაც მგლებია ქვემანაზე, კუნდა
უნდა დაიჭირონთ. მგელმა მაგ — მაგი დაიწეო ამის გავონებაზე
და შექვეწა გლეხს: „თუ კაცი ხარ, დაუძახეარ ვიცითქო.
გლეხმაც მიაძახა მელიას: „არა, ჩემო მელავ! არ ვიცი აქეთ
მტკლიო!“. მელიამ გადმოსძახა: „მაძ რა არის მი, შენთან
რომ არისო?“ მგელმა უთხრა: „დაუძახე, რომ ხალითა არის
აქო“. გლეხმაც ისე ქნა. მაძინ მელამ უთხრა: „თუ ასეა,
მაძ ჩამოკიდე სეზედო!“. მგელმაც ხოსუე გლეხს: „ჩამომკიდე
სეზე, კვები გადავიწევო!“. გლეხმა მგელს ფეხზე თოკები მოაბა
და სეზე ჩამოკიდა. მემდევ მელიამ დაუძახა გლეხს: „აიღე
ახლა ნაჯახი (ცული) მემოჟეარ მაგას და უანა შენ დაგრძებათ.
გლეხმა დაჟერა კისერზედ ცული და საწეალ მგელს კისერი
გვერდზე გადააგდებინა. მელიასაც ეს უნდოდა. თავისი მტერი
შეუნაგი მგელი მოიცილა; მაღლობა გადმოსძახა გლეხს და
სიცილ-ხარხარით გზას გაუდგა.



01 16 3

(ତାପର୍କ୍ସମେନ୍ଦ୍ର)

I

შეა-გული ზაფხული იქნ. მოელი სოფელი სამუშაოდ ემ ზადებოდა. ეველას, ვისაც კი ძეგლთ, ხელძი ნამგალი ეჭირა და გაქარებული თავის ეანისკენ მიეტურებოდა, რომ ძემოსული თავთავი დროზედ მოემქო...

და აი, სწორებ ამ დროს ერთს ჰატარა, ბნელს და მიუკუნებულს ქოხში იწვა აგადმეოფე ღერაბცი და გულის შემზარებად კვნესოდა. — ეს იუთ ჰატარა თინას ღერა. უკეთ მქონი პირა შესრულდა, რაც ქმარი დამარხა და მის შემდეგ ერთი ღლე არ გაუტარებია ჯანსაღად; სულ ზერე-ქვერებ იუთ და ბოლოს ავათმეოფობამ ისე დასძლია, რომ ლოგინიდან აღარ აუშებ. კინ იუთ საცოდავი ქვრივისა და ჰატარა თინას ჰატრონი? — არავინ! მძიერები რჩებოდნენ რადგან, ესა მოსხმა გავა და გასაღები რჩებოდათ, და საცოდავი ქვრივი კი დასუსტებული და გულახელ დაკრეფილი იწვა ლოგინში და მწარე ფიქრებს შეეჭროა იმისი გონება.

ქვრივი ფიქრებიდან კარის ჭრაჭუნშა გამოარტყებული ხასიათისა—
ბი. კარის მიაპერო და დასუსტებული სმით დაკითხსა:
გინ არის?—შენა, შეიღო?

— ჰო, დედიღო, მე ვარ!—და ამ სიტემებთან ერთად კარებ-
ში გამოჩნდა ბატარა, რეა წლის გოგონა. წელით სავსე კო-
კისთვის მაგრა ჩაგდებული ხელი და გაჭირვებით მოარევდა.
ისე დაზღლულიერ, საბრძლო რომ ძლიერდა სუნთქვდა: კოქა
ბუსართან დასდგა, თითონაც ცოტა სანს დასასვენებლად შე-
ჩერდა, მერე კი გატასავით მარდად შეხტა, ჩამოიღო თახჩიდან
ქვაბი და კოკას გვერდით მიუდგა.

დედა სიუკარულით ძღვენებდა თვალს თავის ერთ-და-ერთს.
შეიღო და ბოლოს დაკითხსა:

— რასა ფათურობ, შეიღო?

— ასხძემი უნდა მოვამსადო, დედი!—უასეუსა ღიმიღით
თინამ.

ავადმყოფმა საცოდვებად ამოიოსრა და კედლისკენ გადა-
ბრუნდა.

თინა კი მართლაც ვახშმის შეადგის შეუდგა: ჩაასხა ქაბ-
ში წეალი, ჩააწეო ძიგ სამიოდ-ოთხი გაფრენილი კარტოფი-
ლი, ჩაეპრა მარილი და ცეცხლზე შესდგა; მერე აიღო ერთი
მუქა ბრინჯი, ჩაეპრა კამძი და დაუწეო რეცხვა.

თინის სახე გასწითლებოდა, თვალები დაეჭირა, პირი ღია
დარჩენოდა და მძიმედ სუნთქვდა; მაგრამ ისე იურ საქმით გა-
ტაცებული, რომ ამას გერაფერს ამჩნევდა.

დგრაძ ჩუმად ამოიკვენესა, მაგრამ ბავშვის მახვილ სმენას
ეს არ გამოეპარა. თინამ მაშინვე მიატოვა საქმე და დედისკენ
გაექანა.

— რა იურ, დედიღო, რა გინდა? ციფი წეალი მოუართვა?
რა გაწესებს, რა გტბოგა?—ჰქითხსავდა და თან ეალენსებოდა
საბრძლო ავადმყოფს.

— სუეპელათუერი, ჩემთ სიცოცხლეშე! ხელი, ფეხზე რწყვები განძრება აღარ შემიძლიან. მე რო მოვივდე, რადა ჰქონდება ვინ იზრუნებს შენთვის? ვინ იქნება შენი პატრონი? გულმა კვერცხსა დაუწეო პატარა თინას და სატიროდად მოემზადა. მაგრა მიუკრა დედას და დაუწეო კოცნა.

— რა უნდა გქნათ, შეიღო? მე ასე უდროვოდ გავხდი აფად; ური მოსამავი და გასაღები გვიჩება, და პატრონი კი არა ვინა გვეხვს. ზამთარში სიმშილით დავისოცებით!.. ოჭ ღმერთო, ღმერთო!

— ნუ ნადვლობ დედა, ნუ ტირი... შენი ჭირიმე! ღმერთი მოწეალეა! ღმერთი გვიძებელის შენ კარგად გახდები, მუშაობას შეიძლებ და სიმშილით არ დავისოცებით.

II

თინას ამ ლაპარაკის დროს თავში ერთმა ფიქრმა გაუეღვა: „ნუ თუ მე არ შემიძლიან მოვმება ჩვენი ეანა? შარმან დედასთან ერთად აკი დავდიოდი ებნაში და გვეურებდი, როგორა მკიდნენ! ერთხელ მე თითონაც ავიდე ნამგაბლი და დაუიწევ მებ!.. ბევრსაც მოვმეიდი, ხელი რომ არ გამჟერა. შარმან ხომ უფრო პატარა ვიუავ, ეხლა კი გავისარდე, აი ხელებიც გამეზარდა, და ამ ფიქრებით გატაცებულმა, გამალა ხელები და დაუწეო სინჯვა. ამ ხელებით არ იქო რომ წეალი მოვიტანე, თუმც კოკა ძალიან მძიმე იქო და კიდეც დავიდალე, მაგრამ რა უძავს! ხეალ დილით ადრე ავდგები. ვაჭმევ დედას საუზებს, ავიდებ ნამგაბლს და გავწევ ეანისკენ; მოელი დღე ვიმუშავებ. მოვმები ეანას და საღამოზედ შინ დავბრუნდები — და წარმოედგა თინას მოქული და მნად შეკრული ეანა. „ოჭ ღმერთო! როგორ გაეხარდება დედას, როდესაც მოვალ და ვეტევი, ეანა მომეულია, და ზამთარში სიმშილიდ არ დავისოცებით მეთქი.

თინა ამ ოცნებიდან გამოაფხისლა სმაურობამ, რომელიც
ბუსრიდან მოესმა. იმას მხოლოდ მაშინ მოაკონდა, რომ
ცეცხლზე ქვაბი იდგა. მიირბინა მაშინვე ცეცხლთან, გადმო
იდო საჩქაროდ ქვაბი, ჩაეგრძელო ბრინჯი და
ისევ შესდგა. მერე მოუჯდა გვერდით და ძღვრ მოშორებია:
სან ქაფხა ხდიდა, სან გულმოდგინვე ურევდა და რამდენ-
ჯერმე გემოთიც გასინჯა. როდესაც მომზადდა, გადმოიდო,
დასისა ჯამსედ და დედასთან მიარბეინა.

— დედა, დედოლო, შენი ჭირიმე ერთად ვიყახმმოდეუთ
ხრა შეიარულად თინამ და ჯამი წინ დაუდგა. დედამ შალა-
უნებურად რამდენიმე კოგზი შექმა, რომ შეილისთვინ არ
ეწეონ ებინა. სამაგიეროდ თინა გულმოდგინვე შექცეოდა: იმას
მაღაინ გემრიელად ქნევნა თავისი მომზადებული განხამი. რა
კი გაათავა, მაშინვე წამოხტა. დარეცხა საჩქაროდ ჭურჭელი,
შებლაბე თახხაზედ, კარი რაზით ჩაჰქეტა, შემდეგ დაიხოქა და
გულმსურებალე დაიწეო ლოცვა. თინას სწამდა რომ დმერთს
ბავშვები მაღაინ უვარს და უპატრონოდ არ დასტოვებს.
გულმსურებალე ეპერებოდა დმერთს, მიუცა იმდენი მაღა-
ლონე, რომ პური მოუქმა და ამითი ავადმეოფი დედა დაქმ-
შვიდებინა. ბავშვს ეს ფიქრი მოსვენებას არ აძლევდა; ის
მოუთმებლად მოელოდა გათენებას, რომ დილაზარითინად
საქმეს შესდგომოდა.

III

ჯერ მზე არცეც ამოსულიერ, რომ თინა წამოხტა.
დაანთო ცეცხლი, გაათბო წინადამეს მომზადებული საჭმელი,
აჭამა დედას საუზე, თითონაც ფაციაფუცით შექმა ერთი
ორი კოგზი და დაიწეო მინდორში წასასვლელად მზადება:
ჩამოიდო კედელზე დაკიდული ნამგალი, ჩასდო აბგაში პური,

ხახვი და მარილი, შეიკრა თავსაქრძვით თავი, მიირჩია და დასთან და დაუწეო კოცნა.

— მშენდობით, დედოლო! უჩემოდ არ მოიწეოთ, მე მაღა დაკრუნდები.

— წარი შეილო, წარი გენაციალოს დედა, ითამაშე შენ ტოლებთან კრთად.

თინამ ხამგებლი ბილო და გაუდგა გზას. გათარა უკანასკნელი ქონი და აგერ მინდორშიც გავიდა. გულმა კანკალი დაუწეო; ამ სიძორულ თავის დღეში მარტო არსად წასულია. შეჩერდა და დაიწეო ფიქრი: „ესლა რომ მაგლი გამოსტეს საიდანმე და ძემჭამოს, რდედა მემკელება! მოდი ისევ დაგბრუნდები. მაგრამ ეს ფიქრი საჩქაროდ გაჰქრა იმის თავიდან, რადგან იქვე ასლო ვიდაც დედაკაცი დაინახა. დედაგაცის დანახვამ ბავშვი მაღლიან გაამსხება. ის მსიარულად გაუდგა გზას და აგერ კიდევც მივიდა თავიძნთ ებანაძი. ჩაძოისნა აბგა, იღო ხამგებლი და დაიწეო მება. ირგვლივ სრული სიჩუმე იქო. მსოდოდ ხანდისხან გაისმოდა ჭრიჟისხს ჭრიჟისი, გამსმარი თავთვეის შრიღლი და მწევრის ჭრიჟუპი.

გულმოდგინედ შეუდგა თინა საქმეს, მაგრამ საქმე მაინც წინ არ იწევდა: ხამგებლი ხან სელიდან გავარდებოდა, ხან უქმედი მოხვედებოდა, ხან თითონ წაიქცეოდა, და ამ დროს ხაცოდებად ეკაწრებოდა თავასირი ქანის თავთვეისგან. მაგრამ მაინც თავისას არ იძლიდა. უცბად საძინებლი თითოს ტკივილი იგრძნო; დაისევდა და მოკლი თითო სისხლში ჰქონდა მოთხვრილი. მეტის-მეტი ტკივილისგან ხამგებლი სელიდან გავარდა, თვალები ცრემლით აექსო და ის იუთ ტირილი დაბპირა, მაგრამ ამ დროს თავის ავადმეოფი დედა მოაგონდა. სისხლი საჩქაროდ მოიწინდა. დაიქარა გაჭრილ თითხედ მიწა და შეუდგა ისევ საქმეს. ბავშვს ფეხები სელ დაეწევლიტა, თავ-პირიდან თველი ჩამოსდიოდა, მაგრამ მაინც გულმოდგინედ განაგრძობდა მუმბო-

ბას. უცბად ეანაძი რადამაც იწეო ფაჩუნი. ბავშვმა ეჭიშიზებნ კანკალი დაიწეო. აიღო თავი მაღლა, მიიხედ-მოისევდა და შესალოდ მაშინ ამოისუნთქა თავისუფლად, როდესაც დაინახა თავისი გულის გამნეთქი — პატარინა მწერი, რომელიც არსეინად დანუჩუნებდა ეანაძი. ამავე დროს ბავშვმა შენიშნა ორი კაცი, რომელიც მხარზე ნამგალ გადადგბულები შიდიოდნენ იმისკენ. იმათ იცნეს ბავშვი და გამოელაპარაკებ:

— გამარჯობა, თინა! აქ რას აკეთებ?

— ეანასა ქმქი! — ძლიერს ამოილუდლუდა ბავშვმა და აკანკალებული სმით განაგრძო: — დედა ავადა მეაქს და ეანა მოსამკავი გვრჩება. მა რა ჟწნა, რომ მე არ მოვმქა? პატრონი არავინა გვეაქს და ზამთარში სიმშილით დავისოცებით.

საწეალი გოგო! ერთხმად წამოიძახეს სოფლულებით.

ეს გულის შემატევარი სიტყვები შიგ გულმი ეცა ბავშვს. წარმოუდგა — გაწრილი თთი, დაკარგული თავ-პირი და ფეხები, ავადმეოფი დედა, და გულის საკლავად მორთო ქვითინი.

სოფლულები მისცვივდნენ, მიუალერსეს, იმედი მისცეს.

— რა დატებართა, გოგო, რა გატირების? ღმერთი მოწეალეა! დედა შენი კარგად გახდება, და ეანას კი ჩვენ მოგიძეით. აბა დაჯექი და გვიცქირე, როგორ მალე მოვმქათ! და დაუწევეს ეანას გამალებით ჟა....

— აბა, ესლა კი კმარა, სთქვა ერთი საათის შემდეგ ერთმა იმათგანმა. სვალ დილით ადრე ჩვენ თთონ დაგუმასებით მეუზობლებს და სელად სულ მომკიან. — შენ კი, ჩვეთ პატარავ, წადი დედაშენთან და უკელაბური უამბე. ან არა, მოიცადე, ჩვენ თვითონ წამოგვეყებით და უგამბობით დედა შენს, რა კეთილი და შრომის მოვეარე გოგონა ჰეთლია!

თუმცა თინას ბეჭები მაღაზე სტეიოდა, მაგრამ ის მაინც გახარებული, სტუნკით მისდევდა თავის მეზობლებს.

გავიდა რამდენიმე დღე, და ქვრივის ეანა არამარტოფი
მომკეს პეთილმა მეზობლებმა, გაულეწეს კიდეც და თხე ჩამარი
ბარეს.

თინას დედა უბრთ გახდა, გამოკეთდა და ბოლოს ისე
კარგად იგრძნო თავი, რომ უესზედაც ადგა. თინას სიხარულს
საზღვარი არა ჰქონდა. ხშირად ჩამოეკიდებოდა დედას ჟელზე
და მნიარულად ეტიტინებოდა:

— აბა დედილო, ხომ გეუბნებოდი რომ დმერთი მოწელე
მეთქი! ასრულდა ჩემი სიტევა, თუ არა? პენც კარგად გახდი
და არც სიმშილით დავიხოცებით!

ნინა თაქთაქიშვილი.





ამწვანებული სამეფოში

ზღაპარი ტყის კაცისა

(დასახულება)

გამაცი ბეღურა შედგა ჰატარა ამაღლებულ ალაგზე, საიდანაც უველავი ქარგად დაინახავდნენ მას და უფროც გაიგონებდნენ. ჭიუჭიერამ მიიღო გულზე მარჯვენა ფრთა, და წარმოსოთქვა: —



ბატონი უფროსი, — ჩემს გასამართლებლად აი რას მოგახსენებთ: ბირველი, რომ მე არ გიახლებით არამც თუ თავივების, არც სხვა ცხოველებს ანუ ფრინველებს, მაშასადამე რა საჭირო იქნ ჩემთვის შავ-ხალას მოტაცება; მეორეც, ისე ჰატარა ვარ, რომ კიდეც მდომოდა, ვერ შევძლებდი მის წაევანას; მესამეც

ისა, რომ კიდეც გიახლებოდეთ რაიმე ცხოველს, ჩიტენ შესაბამის თავისებს, და შემძლებოდა კიდეც მისი მოტაცება, მაინც თავისებს დღეში შავ-ზალას არ წავიუვანდი, რადგანაც მე დიდი მეორე ბრობა მაქვს მის დედა გრძელებულასთან. ჭირვ-ჭირვა გახუმდა და თავი დაუკრა. მისი სიტევა სახოვადოებას მაღიან მოეწონა, ნამეტნავად სინიორ ბაჟაუინის, რომელიც დიდ აღტაცებაში მოვიდა და გადასწევიტა, თუ რომ ჭირვ-ჭირვას გაანთვის უფლებდენ, მიეპატიენა თავის დასმი თრატორზე, სახელიც დაარქვა თავის გუნებაში სინიორ ბერურინი. მაგრამ ისე არ შეხედა მის სიტევას უფროსმა, მის გამბედვება, დაბეჭითებულ ლაპარაკმა განრისხა რქა ნისკარტა.

— სტაცეთ ეხლავე ხელი მაგ უჩაღას და მოჰქმდით! გასცა მან ბძანება. ჰაჭუა და პირდია სწვდნენ ჭირვ-ჭირვას. მამაცი ბეღურა სცდილობდა თავი გაეთავისუფლებინა, მაგრამ კედარას განდა. შეერქს საბრალო ჭირვ-ჭირვა და მიათრიეს სასჯელ ალაგას. მიაბეს თოვით სეზე, უფროსის ბრძანებით უვინჩას უნდა ესროლნა ისარი, საწეალი უდანაშაულო ჭირვ-ჭირვა დამორჩილდა თავის სკედის და უძიშრად მოელოდა სიკვდილს. მაუურებელთა რიცხვში იქთ აგრეთვე ბფი ბუჭმეტია, უნდოდა ენასა თავისი მტრის სიკვდილი, ამის გამო მორთულიერ ასალ სადღესასწაულო სერთუკით, ჰარკიც საცა შავ-ზალა უკად ზედ ეკიდა: გრძელ უესამ რაძენკვერმე ესროლა ბეღურას, მაგრამ ვერ მოარტეა. ბფმა ჭიმერიამ სთხოვა ჩერჩეტას და უიყინას ავარიებათ ისრები, რომელიც იქვე ჭირვ-ჭირვასთან ცვილდა მისთვის მოეტანათ. თითონ კი აწოდებდა უვინჩას, როდესაც მას ისრები გამოილეთდა სოლმე. სამაღლობელოდ ავაზაკი ჭიმერია და პირდი კარგ საჩუქარს ჩერჩეტას და უიყინას თუ რომ საღამოზე ეწვეოდნენ მას სასახლეში. სულელ ბავშვებმა დაუკავერეს ამ მაცდურს და პირობა მისცეს მასთან წასკლისა. ბებურ ავაზაკს იამა და ფიქრობდა, მტრის სიკვდი-

ლის შეძლებ ამ საღამოზე მიერთმია კარგი ვახშამის ჩემი ხარისხით
რის საჭმლისა: ჭილუვავისა, ბაჟავისა და თავვისა. ტრენერ
უქამ გააწეო კარგად თავის ისარი, რომელიც ბუმ მიაწოდა
და დიდხანს უმიზნებდა ბეღური ცდილობდა პირდაპირ გულ-
ში მოურტეა. გაისროლა და ჭიკვეტივას კიდევ ბაცდინა. გა-
ჯავრებულმა კიდევ აიღო ისარი და დაუმიზნა... მარამ ამ
დროს ერთი შესანიშნავი ამბავი მოხდა: ძაფ-ხალამ ძლიერ გა-
მოხრა ბარკის მაგრამ ძირი და ვამოურ იქიდან თავი. ჯერ
უიუინამ დაინახა და ტკრი სელი ჩერჩეტს. — დაინახე, წასჩურ-
ჩულა მან, — ძაფ-ხალა ხომ ბებერ ბუს ჭეოლია ბარკში! ორი-
ვენი ეცნებ უფროსისაკენ. პირველი მივიდა ჩერჩეტა, ხვითქი
გადასდიოდა სირბილისაგან და აღელვებულმა დაიწეო თავი-
სებურად რომებ სისულელისა, რომ დღეს ჩისირთმა გვექნე-
ბათ და შვიდნი მმანი ვართო... კიდევ კარგი, ამ დროს მო-
ხტა უიუინაც და უკელაბური რიგზე უამბო უფროს. უფროსმა
წაიუვანა თან რამდენიმე თავისი მცველი ფრინველთაგანი და
გაქანა სასკელის ალაგისკენ, რომ აეცილებინა სიკვდილი
უდანაშაულო ჭიკვეტივასთვის. მასაქეთ, რაც უიუინა და ჩერ-
ჩეტა წამოვიდნენ უფროსითან, კარგა სანმა გაიარა და უკინჩას
შექმლო მოყელა საბრალო უდანაშაულო ბეღურა! დიად...
მაგრამ საბერნიეროდ გრძელვებას ისევ დამიზნებული ჭირი
ისარი, და ცდილობდა უთუოდ მოქვედრებინა. — ბეღექ! — დაუ-
დრიალა რქანისკმრამ, ველზე რომ გახნდა. უკინჩამ ისარი
დააგდო. — დაუერენებლივ გაბორვისუფლეთ ჭიკვეტივა, და და-
ჭირეთ ავაზაკი ჭეტია! გასცა ბძნება უფროსმა. ჭიკვეტივა
გაათავისუფლეს, და მისცვივდნენ ჭეტიას. შეიქნა ბრძოლა,
ბებერი ბუ მისვდა, რომ შეუტეს საიდუმლო და უოველი დო-
ნისძიება ისმარა, რომ გასხლეტოდა სელიდან; ამ ბრძოლაში
შემოახიეს სერთუკი და ბარკიც მოგლივეს, ქუდი გადევერდა
თავიდან, მაგრამ მაინც გაუსხლტა სელიდან და გაფრინდა.

შავ-ხალა მაძინვე გამოიევანეს ჰარკიდან, და ჭემტიას ეჭოდება
დევნენ უქან; რაღაც ის დღე კერას ხედავდა, მართვე
წავიდა და შეიმზღდა სის ტოტებში, უფროსში უბრძანა იქვე
მოუკლათ. ესლა მსროლელიც ჭარე დანიმნეს, და არა უხეო
რო გრძელ ფეხს. ბეჭერი ბუ მოკლული ჩამოუკიდა ტოტზე
სისხლძი მოსურილი. არავის არ შეებრალა ჭემტი, როგორა
თაც მას არავის ებრალებოდა თავის სიცოცხლძი. რარიგი სი-
ხალული შეუდგა გრძელ კუდას, რომ თავისი გამოტირებული ჭალი
შავ-ხალა დაუბრუნდა სახლძი. სახლულისაგან დარიბებს შეს-
წირბ დიდი ქონის ნაჟერი და 20 თავისი მუქა სორბალი.
ეპელა ტეის მცხოვრები მოდიოდნენ გრძელ კუდასთან და
ულოცავდნენ შავ-ხალას შევიღობით დაბრუნებას, მამაც ბეღუ-
რა ჭიიჭ-ჭიივასაც ულოცავდნენ სიკვდილისგან გადარჩენას.
ტეის ემაწვილ კაცობას აევანა ხელძი და დასჭეიოდნენ ვა-
მას. თვით უფროსში რქა ნისკარტამ მიიპატიე, ფრთა დაბდო
ზურგზე და უთხრა:— ეოჩად მამაცო არსებავ! როცა ჭემტია
მოკლეს უფროსში ბძანება გასცა, შეეტკოთ, ვინ გაბავრცელა
ბუს ნაამბობი, რომ შავ-ხალა ბეღურამ წაიუვანაო. შეიტეს,
რომ პირველად ევისხამ დაიწეო ამაზე ლაპარაკი. გაჯავრებულ-
მა რქა ნისკარტამ უბრძანა გაუმევებინათ სამუდამოდ ამ ტეი-
დან: გრძელფეხსა, ჩერჩეტა და ეიენია კი დაბჯილდოება, რადგა-
ნაც ისინი იუვნენ მიზეული ჭიიჭ-ჭიივას დროზე დაცისა. ეი-
ეინას ებობა ერთი ჰარკი ქინქლა; ჩერჩეტს რომ ჭკითხეს რა-
კილდო ზურდა.— ითხოვა ევლგან გამოეცხადებინათ, რომ:“
შვიდნი მმანი გართ, ჭემტი სავსენი, და ევლგაზე ჭემტი მე-
გართ. უუროსი დაებულდა და მასაქეთ ტემში ევლანი ასე
ისსენიებენ ჩერჩეტს. კეთილი მაგრამ თავსუმბუქს გრძელ-ფეხს
მოექმნად წასასვლელად, შექრიბა თავისი ბარგი და ჩაბლაბ
სკიფრი; ამ დროს შემოფენდა სინიორ ბაჟეინი და მოუტანა
ზატარა სალოჩა საჩუქრად. ეს თქვენს სკიფრს გადააყარეთ

გზაში, უთხრა ბაჟეინიმ, ადარ გაგიმტკრიან დებათ, როგორ გვიპას
ში დაიღალოთ გაიძღვეთ და ზედ მოისვენეთ; აკრტიკული გამოცემა
გადგებათ, როცა აკრობატიულ გარჯიშობას დაიწეროთ. რა
აკრობატიულ გარჯიშობას? — განცვიფრებით შეეკითხა ევინჩა. სი-
ნიორ ბაჟეინიმ მიღოთ დიდებული შეხეოულება და წარმოსითქა.

— მე ვარ სიონიორ ბაჟეინი, განთქმული დირექტორი
განთქმულისავე მოგზაური დასისა, გთხოვთ პატივი მცეთ და
შემოგვიურთდეთ ჩვენ. თქვენ იქ მონაწილეობას მიღებთ წარ-
მოდგენებამ, როგორადც შესანიშნავი აკრობატი და კლოუნი
სახლად სინიორ ევინჩინი აულაუდინი. — მე რომ არც აკრო-
ბატობისა ვიცი რამე და არც კლოუნობისა? მიუკო გრძელ
ფეხებამ. ეგ არაფერია უბასუსა დირექტორმა, რამდენიმე დღეში
მე თქვენ ეველას გასწავლით. გრძელ ფეხა დასთანხმდა და
პირობა დაზღვეს ერთმანეთთან, რომ ამ სამ დღეში ესენი მე-
ხვდებოდნენ მახლობელ ტექში, სადაც სინიორ ბაჟეინის ქმ-
ნებოდა რამდენიმე წარმოდგენა. სინიორის წასვლას შემდეგ
გრძელ ფეხამ დასრულა ჩაღავება, გადასურა ნაწუჭარი საღისა,
თავის სკიფრს, შეიდგა ზურგზე და გაუდგა თავისის გრძელის
ფეხებით გზას. რამდენიმე ნაცნობ ფრინველმა გააცილეს ტეის
სამძღორამდინ. ევინჩა უეპარდათ ტექში და დანანდათ მისი მო-
შორება. მათ შორის იუვნენ მისი მეგობრები: ბებერი ბობა თავის
ცოლით რომელთაც ბევრიც იტირეს, მის გაცილებაზე, მათ კვერ-
დით მისდევდა არ ვიცი კი რისთვის ბუქნა ღიანა, და ვითომდა
ესეც ტიროდა, იწმენდა ფრთით თეალებს. უკან მოსდევდნენ
დანარჩენი ევინჩა მეგობარის ფრინველი; დაფრიალებდნენ
აგრედენ ცნობის მოუვარე დამურები, როდესაც გრძელფეხა
მიუასლოვდა გელს დაინახა თხენელდა ბრუცეცა, რომელიც
გულმოდგინეთ მუშაობდა და სოხნიდა ბარით მიწას. — მში-
დობით ბრუცეცა, დაუკვირა გრძელფეხამ, მშეიდობით! მე
სრულებით მივდიურ აქედან.

— მშვიდობით, მმარ გრძელფეხავ, — უნახუსა თხელმკლებულ
ძეგდა და ნაღვლიანზე დაღუნა თავი, — მშვიდობით და დამატდ
მებრალები! შექ კეთილი იქავ და უკნებელი; მაგრამ ამ
შემთხვევაში კი სამართლიანზე დაისაჯე. შემდეგისთვის გაფოხი-
ლებული იქნები: ნე უგდებ სოლმე ურს ჭორებს, და ავს
ნურაფერს დაიჯერებ აგრე ადგილად. ჯერ კარგად შეიტყო, დარ-
წმუნდი და მერე დაიჯერე... მშვიდობით! ამის შემდეგ ბრუ-
ცეც შეუდგა მუშაობას, გრძელ ფეხა კი გამოემშვიდობა თავის
მეცობრებს და სამუდამოდ მოძორდა სამშობლო ტექს. რამ-
დენიმე სანი ნაღვლიანზე უურებდნენ კიდევ მეცობრები ევინ-
ჩას გზას, რომელიც სისწრაფით აბიჯებდა თავის გრძელ-
ფეხებს მახლობელ ტეისტენ.... მას-უქან დაუმახეს ბრუცეცას,
და ეველანი ერთად წავიდნენ მეჯლისში, რომელსაც მართავდა
გრძელებებს თავის ქალის შაგალას სრულწოვანების გამო.
გახსენდებული იურ მეჯიში. გრძელ ტექსლ ქაზე, რომელსაც
ეფარც მწვანე სუფრა დიდობნის ფოთლებისა, ელავა მრავალი



კოდობური, ჭიათუა, ქონი, სორიბლი, და მრევალი ამჟარი
მაღის ამშლელი შესაქცევარი. თავში იჯდა თაგვი შეკხდა,


მაკულურაშის შეკრილ თეთრ კაბით; გვერდით უკანი მარტო მხარეს, გრძელებულა, და მეორეზე მამაცი ბეღურა ჭირებული მწვანე ფოთლების ფრაგით თეთრი კელსაკრავით და წითელ ჯარდით გულზედ. ასე ჩაცმული მამაცი ჭირებული მაღიან კოსტად იქცრებოდა, და თავ მომწონედ იკადა; ამ კი რა გასაკვირველია, ეს იკა ამ მეჯლიშის გამგე. მრავალი სტუმარი შემოსხომოდა ამ მაგიდა —ქას. ტეის მცხოვრებნი უკელანი იუვნენ მიაპატიუბულნი, თვით უფროსში რქა ნისკარტმაც კი ჰატივისცა და მობრძანდა; ამ სტუმართა რიცხვში, იუვნენ ჩვენი ნაცნობნიც: მამიდა იხვი პრტეტლცხვირა, თხუნელა ბრუცუცა, რომელსაც ჯერ სათვალე არ ეძოვნა და ამის ვაძლ საჭმელი ჰირის მაგიდად უკრებთან მიჰქონდა; იუვნენ აგრეთვე ბავაები უიყინა, ბუკნა დიანა, მყერფალი მაკულურაში ცოლშვილით, გურდღელი გრძელეურა, კოდოლა-კაკუნა, ჭილევავი თავის შვიდი შეიღლით, მერა ნისკარტა, თუმცა ამ ავაზავის მოპატიუბა კი არ იქო საჭირო; სინიორ ბავავინიც აქ ბძანდებოდა თავისის დასით. დანი შაბვინი და სინიორ შრომანი. ტეის მოლექსე უორანი, რასაკვირველია. ერთი სიტუაცია აქ შეერთლიავნენ უკელა თქვენი ნაცნობნი და უცნობნი. სტუმრები მიირთმევდნენ და ქებას უძღვნიდნენ გულუსკ მასპინძელს. უკელა მხარეულობდა, მომეტებულად მასხარაობდა და ამსიარულებიდა სახლებადოებას ჭირებული შევენი სიტუაცია სიტუაცია წარმოსოქვა, რომლითაც უკელანი აღტაცებაში მოივანა. აიუვანეს და დასძანეს ვაძა. სინიორ ბავავინი კი განუშემუტლივ გამდრებოდა მისს დასძი შეხვდას ორატორად, სახელით: სინიორ ბეღურიო—ჭირებული უიყინი. მამაცმა ბეღურამ მიიღო მის თხოვნა. გახარებულმა სინიორ ბავავინიმ უფასო წარმოდგენა გამართა. თითონაც მიიღო მონაწილეობა და რამდენიმე თვალოთმაქცეური ოინი აჩვენა საზოგადოებას, დაუკრა სტუმრი და იმდერა სერენბა. დებმა შაბვინიმ იგბლოოებას რომანსები და შრომინიმაც



წარმოადგინა სიკვდილ გაცოცხლება. სტუმრები დიდი მართვების ბელნი დარჩენენ უფასო წარმოადგენისა და ბეჭრი ტაძი უკრეს უკულა შესხიობთ, მოლექსე ჭილევბამაც დაბარია თავის ლექსე ბის კითხვა, მაგრამ რაკი არ აღიას ძილი არ მოსდიოდა ამისათანა შეიძლებაში, აღარ შეაწეხეს; ჭილევბაც გაიცხიორა, გაიბუტა და ხმა აღარ ამოუღია, ამითიც უკულანი დიდი კმა-უოფილნი დარჩენენ. მთელს დღეს გასტანა შეიძლება მეცლისმა და შეოლოდ მზის ჩასვლაზე დაიშალნენ მადლობელნი და გა-მაძღარნი სტუმარნი და შეიძლებათ გამოისალმნენ კეთილ მა-სპინძელთ, წავიდ წამოვიდნენ თავითნთ ბინისკნ. მეორეს დღეს მამაცი ჭეივ-ჭეივა გარდაიქმნა სინიორ ბეღურით - ჭეივ-ჭეივინად, და გაჭევა სინიორ ბაჟაიინის დასს სამოგზაუროდ. რა იქმნენ შემდგებ ჩვენი ნაცნობნი მწვანე ტეის მცხოვრებნი, და თვით მამაცი ბეღურა ჭეივ-ჭეივა და სინიორ ბაჟაინი თავისის და-სით ნამდვილად არ ვიცი; მე შეოლოდ იმას გიამბობთ სოლა მე რაც ბეჭითად ვიცი. გაზონილი კი მაქს, ვითომც სინიორ ბაჟაინი წასულიერება თავის დასით სამხრეთისკნ თბილს ქვე-ქნები. მამაცი ბეღურა კი, რომელსაც უეგარს ჩვენი ცივი ჩრდილოეთი გადასხალდა ქალაქი და იქვე დარჩა. თუ ნახოთ სადმე, გთხოვთ გარდასცემ ჩემი მოკითხვა. მალიან მიუვარს, თუმცა პატარა, მაგრამ მეტად გარკი რაშ არის.

კნ. ანასტასია ამილახვრისა.





ჰერკულესის ამბავი

ჰერა რომ მამა ღმერთ მეფეს გაჲევა ცოლად, ოქროს ვა-
ძლები აჩუქა ქმარს. ეს ვაძლები მეფემა ჸესხერიდების ბაღში
ჩაფლად და მშენიერი თქროს ვაძლიანი სევბი ბმოვიდა. ზე
კაცი ბეჭრია ქვემანაზე და, რასაკვირველია, ამ თქროს ვაძლე-
ბის მოაპოვა სურდათ. ამიტომ ჸესხერიდებმა, რომელიც ფა-
რიები იუვნენ, ბადის დარაჯათ დიდი გემაბი დაუუნენს.

ევრისთეოსმა იცოდა ამ ბადის ამბავი და უბრძანა ჰერკუ-
ლეს, წადი და ის თქროს ვაძლები მოძირანე ჸესხერიდების
ბაღიდანო. ჰერკულესმა არ იცოდა, სად იქო ეს ბადი და სა-
ნამ მიაგნებდა, ბეჭრი სეტიალი დასჭირდა. გზაზე ანტეოსი
შესვდა, რომელიც მიწის შეილი იქო და დიდი ღონის ჩატრო-
ნიც; ვინც კი შესვდებოდა, უთუოდ დაეჭიდებოდა, წააქცევდა
და სიცოცხლეს მოუსპობდა. თუ ვინმე მის წამქევდი ადმოჩნ-
დებოდა, მიწაზე წაქცეული ანტეოსი კიდევ უფრო ღონიერი
წამოხტებოდა, და მტერს უფრო ძლიერად დაეტაგებოდა: მიწა
დედა იქო მისი და რამდენსაც წაიქცოდა, იმდენს მაღას მა-
რებდა შეილს. ჸერკულესმა ეს შეამჩნია და წაქცევის მაგიერ

ანტეოსი ზეგით ასწია, ხელები მაგრად მოუჭირა და დაქვემდებარება სიცილით ხრჩო.

ბევრი იარა ჰერკულესმა და კაპიტეში მივიდა. აյ მეფობა და ბუნირისი. ბუნირის მეტად სტულდა უცხოელები და ჩაი-გდებდა თუ არა ხელძი, უთუოდ მსხვერპლად შესწირავდა დმერ-თებს. ჰერკულესსაც ეს დაუპირა. მოვიდნენ ქურუმები, ხელფეხი შეუკრეს და ტაძარში წაივანეს დასაკლავად. ჰერკულესი ჯერ არ გაძალინებულა, მაგრამ როცა ტაძარში მიივანეს და და-ნა ამოიღეს დასაკლავად, თოვები დასწუვიტა და ქურუმები და ბოროტი მეფე დასოცა.

რადგან ჰერკულესი მეტად ზორბბ და ღონიერი კაცი იქო, მაღაც დიდი ჰქონდა. ერთხელ, როცა მაღაცე მშიერი იქო, მესვდა გლეხს, რომელიც გუთნით მიწას ხნავდა. მაჭამე რა-მეო, სთხოვა გლეხს ჰერკულესმა; გლეხმა უარი უთხრა; ჰერ-კულესი გული მოუვიდა და გლეხი იყრინა; შემდეგ ერთი ხარი დაჭელდა, გუთანი დაამტკრია, ცეცხლი გააჩალა, მთელი ხარი შეწყა და შეჭამა.

ამ მეზაფონბის დროს ჰერკულესი ჩვენ კავკასიაშიც იქო კავკასიის მთების ერთ ფრიალო კლდეზე მიჯაჭეული იქო პრომეთეოსი, რომელმაც ღმერთების ცეცხლი მოიტაცა და ადა-მიანებს ხამოუტანა. მიჯაჭეულ პრომეთეოსს გულს უჭამდა ერთი დიდი არწივი, რომელიც მუდამ დღე მოჟაფრინდებოდა ხოლმე. ჰერკულესმა რომ ეს ნახა, მშეიღდი მოზიდა და არ-წივი მოჭელდა. შემდეგ შეავეზრა მამა ძეგნს, ეპატიებინა პრომე-თეოსისათვის დანაშაული. ძეგნმა ისმინა ჰერკულესის ვეღრება განათავისეუფლა პრომეთეოსი და ნება მისცა ეცხოვრა ოლიმ-პზე სხვა ღმერთებთან ერთად.

ბოლოს, როგორც იქნა, ჰერკულესი მივიდა ატლანტან, რომელიც დედამიწის კიდეზე იდგა და ცის კამარას თავის შე-რებით იმაგრებდა, რომ დედამიწას არ დასცემოდა. ატლანტი

შმა იუთ ჰესტერიდების მამისა და ჰერბულებმა სიხოდა, ჰერბულების მდგრომლა მმისწულებთან და რამდენიმე ოქროს ვაძლიანებშიც თვა. ჰერბულებს კუძახის როდი ემინოდა, მას არ უნდოდა შწევნინებინა ფერიებისათვის. ატლანტი წავიდა მმისწულებთან და სანამ დაბრუნდებოდა, ჰერბულები შეუდგა მის მაგიერ ცის კამარს. ჰესტერიდებმა სამი ვაშლი მისცეს ბიძას, მაგრამ იმ პირობით კი, რომ ატლანტის მსოლოდ მაშინ მიუკა ჰერბულებისათვის, თუ პირობას დასდებდა, რომ დაბრუნებდა: ჰერბულები თავის დღეში არ დაარღვევდა სიტყვას.

ატლანტი რომ დაბრუნდა, ადარ უნდოდა გაეთავისუფლა ბინა ჰერბულები ცის კამარის ზიდვიდან. მაგრამ ჰერბულები დაქუქრა, ეხლავ ძირს დაჭუშვებ ცის კამარასო და ატლანტიც შემინდა და ისევ თვითონ შეიდგა მხრებზე. ჰერბულებმა წამოიღო სამი ოქროს ვაშლი, მიუტანა ევრისთეოსს და თან უთხრა, რა პირობითაც ჰქონდა წამოდებული ეს ვაშლები. ეკრისთეოსს არ უნდოდა ვაძლების დაბრუნება, მაგრამ შეემინდა კად თუ მევსმა ჩემი დასჯის ნება მისცეს ჰერბულებსსოდა ვაშლები დაუბრუნა. ჰერბულებმა ქალ ღმერთ ათინას მიუტანა და ამანაც ჰესტერიდებს გაუგზავნა.





სახელმწიფო
სამართლის
განცხადება

სახელმწიფო სამუშაო და გასართობი

დ ა რ დ ი ა ნ ი

(ამოღებული კრებულიდან*)

ერთი ქაცი ქვეუნიერებისათვის დარღობდა: რა დღესაც ქვეუნის ავს გაიგონებდა, იმ დღეს პურს აღარ სჭამდა. ერთ დღეს ვერა გაიგონა რა, იყიდა ოთხნარი საჭმელი მიიტანა სახლში და უთხრა ცოლს:

— დედა-ქაცო, დღეს ქვეუნის მშვიდობიანობა მესმის, კარგი საჭილი გააკეთეთ. ის იქო დაკადა საჭილად, რომ ერთი პატარა ბიჭი ძევიდა და უთხრა:

— ოსტატო, ახალი ამბავი არ გაგიგია?

— რა არის, შვილო, რა ახალი ამბავი?

— გარედუბანში ერთ ფურს უკუდო ხბო მოუგიაო.

დაღონება ქაცი და უთხრა ცოლს:

— ბალაგე სუფრა, თორებ პური გამიმწარდაო.

ცოლმა უთხრა:

— ქაცო, მენ მისთვის რასა დარღობ, მენ ხომ ცეტი არა ხარო!

— მაშ მეათათვეში რომ ბეზები დაქუიზნენ, რით უნდა მოიგეროსო? და წამოვარდა სუფრიდან.

გ ა მ ც ა ნ ა

სული ღვთისა, ბირი ხისა, მუცელი აქვს თხის, ან ცხვრისა, წავა და დაიარება, პატრონს გაუქარებეს ჭირსა.

თბილისი
მარნე
1905

სასტორიუმი

და

საზოგადო სამყოფი

სახაუჭულო
პინქ საფეხი
4400 ფუტის
სიმაღლეზე.

ექიმის ვახტანგ დ. ლაშვაშიძისა

მოზარდ ჩალ-ვაჟთათვის 8—16 წლამდე

„პუტინ-ცემი“ ბაქურისნის რეზის გვარედ

„პატარა-ცემი“ მდებარეობს ბორჯომის ხეობაში, თრიალეთის ქედის ერთ-ერთ კალთაზედ, ბაკურიანის რეზის გზაზედ, სადგურ ნიკოლაევისა და საკოქავს შეა, მაღლობ ვაკეზედ, 4400 ფუტის, ანუ 1340 მეტრის სიმაღლეზედ. (230 ფუტით მაღალია აბასთამანზე).

ამ ადგილის მდებარეობა, როგორც მოელი ხეობისა, შეტად მოხდენილია და ლამაზი. „პატარა-ცემი“ წარმოადგენს მთებით შემოზღუდულ გაშლილ ვაკეს, ფიჭვნარითა და ნაძვნარით გარშემორტყმულს; მთელ დღეს მზით განათებულია და ციფი ქარისაგანაც დაფარული, ნიადაგი მშრალი და ნორიერების მოქლებული აქვს, ჰავა მუდაშ გრილია და სითბოსიცეც მეტად ზომიერი; ჰაერი სუფთა, მნიშვ და სამო, ადგილი მყუდრო და ყაველ ხმაურობას მოკლებული. შეაზედ მიუდის ბაკურიანის რეზის გზა.



**აქ არის აშენებული სანატორიუმისათვის დიდი უფრო განვითარებული მიზანი, საფაქტო და საქალებო განყოფილებით, სამხრეთისაკენ მი-
ჰქონდება, მთელ დღეს მზით განათებული, რომელშიაც დღე
და ღამე ჰაერი მოძრაობს და იცვლება. სანატორიუმს აქვს
საკუთარი სამეცნიერო ლაბარატორია და მეტეოროლოგიური
სადგური.**

სანატორიუმს და საზაფხულო სამყოფს მიზნად აქვს, გა-
უადგილოს მოზარდის აგებულებას დასენაც და ჯანმრთელო-
ბის მოპოვება, რომ ბუნებრივის საშუალებით და ჰიგიენურ
პირობებში ცხოვრებით გამოსწორდეს ის ნეკლი, რაც სხეულ-
ში ან ავადმყოფობით არის გამოწვეული, ან ცხოვრების შეუ-
ტერებელ პირობებით; და მნიშვნელოვანი შეუწყოს სხეულის
განახლებასა და წესიერ მუშაობას, ფიზიკურ კეთილდღეობის
მისაღწევად.

მიიღებიან: ვინც არის ნაავადმყოფარი, სხვა და სხვა
სწერებისაგან დალლილ-დასუსტებული, მეტადრე ვისაც გა-
მოვლილი აქვს განმეორებით: ინფლუენცა, ბრონქიტი, ფილ-
ტოს სხვა და სხვა ავადმყოფობა; ვინც მაღა-დაკარგულია,
სისხლ-ნაკლები, ნერვები ძმლილია, ქაობის ციებით ანუ ტყირ-
პის გაღიღებით დასუსტებული; ვისაც სხეული დასაბუნებია
ჰაერის, სინათლისა და საზრდოს ნაკლებულობით, ან ცხოვ-
რების შეუფერებელ პირობებით; სტრაქისა და ნაწლევების
ძმლილობით დასწეულებული, გონებით მოქანცული და სა-
ერთოდ ცვლილი, ვისაც-კი სამკურნალო მეცნიერების ჩემებით
ესაჭიროება ჰაერის გამოყელა, დასვენება, სხეულის გამაგრება
და ქალაქის მორიცება ცხელ ზაფხულის თვეებში.

არ მიიღებიან: მწილიარე ავადმყოფნი, რომელიმე გა-
დამდებული არით შეცყრიობილნი, ფილტოს სიკლექით დაავადმ-
ყოფებულნი, სულით ავადმყოფნი და არც ისინი, ვისაც რო-
მელიმე მიზეზისა გამო მაღალ მთა-აღგილს ყოფნა სარგებ-
ლობას ვერ მოუტანს.

სამკურნალო საშუალებათ არის დასახული შემდეგი:

1) მთის წმინდა ჰაერი, მჩატე, გრილი, ფიქვის სუნით
შეზავებული და უოველგვარ უსუფთაობას მოშორებული; დღე
სულ გარედ ყოფნა, ღამე-კი ღია ფანჯრებიან სახლში წოლა.

2) გონებისა და სხეულის დასვენება, სრული მყულითობაზე ება, შუაგულ ტყეში ყოფნა, უსიამოვნო ხმაურობის განცხადებით.

3) გადაჭიარებებული საზრდოობა დღეში ექვსჯელ: საუზე დილის 7 ს., მეორე 10 ს., სადილი 1 ს., სამხარი 4 ს., ვახშიმი 7 ს., და მეექვსე იჯრაც 9 საათზედ.

4) წყლით ექიმობა: ტანის დაზელა, დუში და აბანო, ჰაერის აბანო (ust-bad, Bain dair).

5) სხვა და სხვა გვარი შექცევა-თამაშობა ევროპიდგინ გამოწერილ მოძრავ სათამაშოების საშუალებით, უცხოეთის საერკოშო საზოგადოებათა გეგმის შიხედვით.

6) სამურნალო ვარჯიშობა სტრუქტოლმის სავარჯიშო მთავარ ინსტიტუტში ლანგის მიერ შემოღებულ გეგმისამებრ.

7) სახალისო და გასართობი სამუშაო და სხვა და სხვა ხელ-საქმე, სააღვილო და სხეულისათვის მარგებელი, თეითეულის აგებულებასთან შერჩეული. მსურველთაოების ფოტოგრაფიული ოთახი.

8) ჯგუფებად სეირნობა და მოგზაურობა ყოველ ორ-სამ დღეს ახლო მიღამოებში.

9) უოველ დღეს ახლად მოტანილი მაღნეული წყლები: ბორჯომის მევე და წალვერის რეინის წყალი, ექიმის დანიშნულებისამებრ.

10) სხვა წამლებით ექიმობა მხოლოდ აუკილებელ საკიროების დროს.

ყოველი ზემოხსენებული საშუალება შემოღებულია მეცნიერებისაგან დამტკიცებულ წყსისამებრ, სწარმოებს ექიმის მუდმივ ხელმძღვანელობით და კურძოდ თეითეულის აგებულებასთან შეფარდებით.

კვირაში ერთხელ თეითეული სანატორიუმში მყოფი დაწვრილებით ისინჯება ექიმისაგან, თანაც სამეცნიერო იარალებით აღინიშნება ის თანდათანი ცვლილება, რაც დაეტყობა

თვითეულ აგებულებას, მეტადრე: წონას, ღონეს, მკერჭის სისრულეს, სულის-თქმის, გულისა და მაჯის ცემას და წილის გამოყენებას.

უკველივე ზემოხსენებული, როგორც ხანგრძლივმა გამოცილებამ დამტკიცა უცხოეთის ყველა კუთხებში და მეცნიერებამაც გამოარკვია, სხვაგვარ წამლობაშედ უფრო წარმატებით ჰქონდას ზემოც აღნიშნულ სწეულებათ ასე რომ ეხლა ყველასაგან სასარგებლოდ არის დასახული სანატორიუმების ბუნებრივი მკურნალობა, რასაც შედეგად მოპყვება ხოლმე შემდეგი ცელილება: ყოველ მოზარდს ემატება წინა, ძალა და ღონე, უგანიერდება მკერდი, უმაგრძება კუთხები, სხეულის საზრდოობა უმჯობესდება. მოდუნებულ აგებულებას სიმარჯვე ემატება და გონებას საფხიზლე, ხასიათი მშეოდება და სწორდება, ტოლ-ამხანაგებში ყოფნით ერთობა და ზნეობრივად იწვრთნება, და რასაცირკველია ყაველივე ეს ღილათ ხელს უწყობს და აწინაურებს სხეულითაც, გონებითაც და ზნეობრივადაც მოზარდის აგებულებას.

წასელისას თვითეულს შესაფერისი დარიგება ეძლევა, როგორც უნდა მოუაროს თავის-თავს მომავალში.


ყველანი იყოფებიან ჯგუფებად ღონის, სქესისა და წლოვანობის მიხედვით. თვითეულ ჯგუფს ჰყავს საკუთარი თვალყურის მგდებელი და ყველის-კი საერთოდ—მუდმივი ხელმძღვანელი ქქიმი.

სანატორიუმში და საზაფხულო სამყოფები დადგენილი წეს-რიგი ყველასათვის სავალდებულოა. ვნეც ირ ღაეთანამებრა მას, უნდა მიატოვოს ეს დაწესებულება ერთი კვირის განმაზაფლობაში.

ეს წეს-რიგი, რომელისაც მიზნათ აქვს სხეულის კეთილდღეობა, ადვილი შესათვისებელია და მომავლისათვისაც სასარგებლო: სხეული პატარაობითვე ეწვევა სიკივის ატანას, რიგიანად სმა-ქამის, სასარგებლო მოძრაობას, წესიერ მუშაობას და საერთოდ ჰიგიენურ ცხოვრებას.

სამკურნალოდ დანიშნულია ზაფხულის თვეები: 15 ივნისიდებან 31 მარიამობისთვემდე. მიიღებიან მსურველნი ორი თვითა და ნახევრით და ორი თვითაც.

მისალებ პირთა რიცხვი განსაზღვრულია. სიცავითიანი



ფასი პატარათათვის თვეოურად ხუთი თუმანია, ხოლო მოურდილთათვის ექვს თვემანი, აძაშია ნაგულისხმევი: საღ- გომი, ლოგინი, სახრდო, განათება, წყლით ეჭიმობა, სარეც- ხის დარეცხა, წყლები, წამლები და საერთოდ ყოველ-მხრივი მოვლა და ეჭიმობა.

ვისაც მსურს სამჯურნილოდ მოსელა, წინდაწინვე უნდა გამოიგვზავნოს ავადმყოფის სრული ოლწერილობა და აღვი- ლობრივი ექიმის წერილიც. საბოლოო გარდაწყვეტა მიღების შესახებ მხოლოდ ავადმყოფის პირადად ნახვის შემდეგ ირის შესაძლებელი.

თვითეულს უნდა მოჰყევს თან: ორგვარი ტანისამოსი: საზაფხულო და ერთი თბილი, თეთრეული 4 - 6-მდე, ოროლი ფეხსაცმელი, მათში ერთი უქუსლო, კილის ქუდი მზეში სახ- მარად და, თუ შესაძლოა მაგარი ტილოს ზევიდგან ჩასაცმე- ლი ტანისამოსი სათამაშოდ.

ყოველ კვირას მშობლებს გაეგზავნებათ წერილი სანა- ტორიუმის ექიმისაგან და ეუწყებათ მათი შვილის მდგომარე- ობის ამბავი.

დაწვრილებით ცნობების შესატყობიდ მსურველთ უნდა მიმართონ ექიმს ვახტანგ დავითის ძეს ლაშმაშიძეს მაისის 31 დღე ქალაქ თფილისს, შემდეგ-კი ბორჯომით პატარა-ცემის სა- ნატორიუმში.

მისაცლელი გზა: ბორჯომიდგან ირი საათის სავალზე. ბაკურიანის რეინის გზით, მე-25 ვერსხე სიღგურ ნიკოლოვ- ელს შემდეგ საკუთარი ბაქინია „პატარა-ცემში“, სადაც ყოველი სახალხო პატარებელი ჩერდება საკუთრად სანატო- რიუმისათვის.

პატარებლების მიმოსელა: ბორჯომიდგან გადის დილის 9 ს. 7 წ. „პატარა-ცემის“ სანატორიუმში მიღის 11 ს. 13 წ., პატარა-ცემიდგან გამოდის ნაშუადლევის 1 ს. 19 წ. და ბორჯომს მოდის 3 ს. 29 წ. საქიროების დაგვარად დადის



მეოთხე მატარებელი: ბორჯომიდევან გადის ნაშუადღევის 5 ს.
28 წ. „პატარა-ცემის“ სანატორიუმში მოდის საღამოს შესახუაბი
32.; პატარა ცემიდევან გამოდის საღამოს 9 ს. 45 წ. პატარა ცემიდევან
ჯომს მოდის ღამის 11 ს. 38 წ....

ადრესი: ფოსტით: ბორჯომით — „პატარა-ცემს“ ექიმს ვ.
ლამბაშიძეს. ტელეგრაფით: ბორჯომი ლამბაშიძეს.



